
თავი - 14

ვალდებულებების აღრიცხვა

შინაარსი

- ❖ ვალდებულებების არსი და კლასიფიკაცია;
- ❖ მოკლევადიანი ვალდებულებების აღრიცხვა:
 - ◆ სავაჭრო ვალდებულებების აღრიცხვა:
 - △ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები;
 - △ მიღებული ავანსები;
 - △ მომუშავეთა გასამრჯელოს აღრიცხვა;
 - △ ხელფასებთან დაკავშირებული ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვა.
 - ◆ მოკლევადიანი სესხების აღრიცხვა;
 - ◆ საგადასახადო ვალდებულებების აღრიცხვა;
 - ◆ დარიცხული ვალდებულებების აღრიცხვა.
- ❖ გრძელვადიანი ვალდებულებების აღრიცხვა:
 - ◆ გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებების აღრიცხვა;
 - ◆ გადავადებული გადასახადების და სხვა გრძელვადიანი ვალდებულებების აღრიცხვა;
 - ◆ ანაზღაურების აღრიცხვა.
- ❖ ახსნა-განმარტებები.

14.1. ვალდებულებების არსი და კლასიფიკაცია

წინა თავებში ჩვენ განვიხილეთ თემები, რომელიც წარმოადგენდა ფინანსური ანგარიშგების ელემენტს, აქტივებს. ფინანსური ანგარიშგების კომპონენტში ბალანსში ასახულია ინფორმაცია აქტივების დაფინანსების წყაროების (პასივების) შესახებ, რომელიც გამოხატულია ორი ელემენტით: ვალდებულებებით და კაპიტალით.

ვალდებულებები წარმოადგენს – მოზიდულ კაპიტალს – ანუ გარედან მოზიდულ დაფინანსების წყაროს.

კაპიტალი წარმოადგენს – საკუთარ კაპიტალს: მეპატრონეთა შენატანებს და საწარმოს მიერ გამოიმუშავებულ მოგებას.

ფასს-ის “ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლები”-ს მიხედვით:

ვალდებულება საწარმოს მიმდინარე პერიოდის მოვალეობაა, რომელიც წარმოიშვა წარსული სამეურნეო მოვლენების შედეგად და რომლის შესრულება გულისხმობს საწარმოს ეკონომიკურ სარგებელში განივებული რესურსების გასვლას საწარმოდან.

აღრიცხვის თეორიული საფუძვლების განხილვის დროს ჩვენ შევეხეთ ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტს, მათ შორის ვალდებულებებსაც. ახლა კიდევ ერთხელ ვუბრუნდებით ამ საკითხს.

სტრუქტურული საფუძვლების მიხედვით: ვალდებულების უპირველესი დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ საწარმოს გააჩნია მიმდინარე მოვალეობა. ვალდებულება არის საწარმოს მოვალეობა ან პასუხისმგებლობა, რომლის შესრულება გარკვეულ ნორმებს ექვემდებარება. ვალდებულებები შეიძლება სამართლებრივად შევიდეს ძალაში სავალდებულო წესით შესასრულებელი კონტრაქტის ან საკანონმდებლო მოთხოვნის ძალით. ნორმალურად ითვლება, მაგალითად, საწარმოს ვალდებულების წარმოშობა საქონლის ან მომსახურების მოწოდებისთვის.

აუცილებელია გაიმიჯნოს მიმდინარე მოვალეობა და მომავალი ვალდებულება. საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მომავალში აქტივების შეძენის შესახებ, თავისთავად არ წარმოშობს ვალდებულებას. როგორც წესი, ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, როდესაც აქტივი მიღებულია.

ვალდებულების დაფარვა, როგორც წესი, გულისხმობს საწარმოს ეკონომიკური რესურსების გასვლას მევალე მხარის ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით. ვალდებულების დაფარვა ხდება სხვადასხვა გზით. მაგალითად:

- ა) ფულის გადახდით;
- ბ) სხვა აქტივების გადაცემით;
- გ) მომსახურების გაწევით;
- დ) ერთი ვალდებულების მეორეთი შეცვლით; ან
- ე) ვალდებულების საკუთარ კაპიტალად გადაქცევის გზით.

ვალდებულების დაფარვა შესაძლებელია სხვა საშუალებითაც, მაგალითად, კრედიტორის მიერ მისაღებ თანხებზე უარის თქმით ან კრედიტურობის უფლების კონფისკაციით.

ვალდებულება წარმოიშობა გასული პერიოდის სამეურნეო ოპერაციებისა და მოვლენების შედეგად. ასე მაგალითად, საქონლის შეძენა ან მომსახურების მიღება წარმოშობს

შესაბამის სავაჭრო ვალდებულებას (თუ კი არ ზდება გადახდა წინასწარ ან მოწოდებისთანავე), ხოლო ბანკიდან სესხის მიღება წარმოშობს ვალდებულებას ამ სესხის დასაფარავად.

ზოგიერთი ვალდებულების შეფასება მხოლოდ მიახლოებითი მნიშვნელობით შეიძლება. ზოგი საწარმო ამგვარ ვალდებულებას ასახავს როგორც ანარიცხებს – რეზერვების სახით.

როდესაც რეზერვი გულისხმობს მიმდინარე ვალდებულების არსებობას და აკმაყოფილებს განმარტების დანარჩენ კრიტერიუმებს, ის ჩაითვლება ვალდებულებად მაშინაც კი, როცა მისი ოდენობა მხოლოდ მიახლოებით ფასდება. მაგალითად, ანარიცხები არსებულ გარანტიებთან დაკავშირებული გასაღებისათვის და ანარიცხები საპენსიო ვალდებულებათა დასაფარავად.

ვალდებულების აღიარება. საწარმოს ბალანსში ვალდებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში აისახება, თუ მისი დაფარვა მომავალში გამოიწვევს საწარმოდან ეკონომიკურ სარგებელში განივებული რესურსების გასვლას და თუ შესაძლებელია მისი საიმედო რაოდენობრივი შეფასება-განსაზღვრა. პრაქტიკაში ის სახელშეკრულებო ვალდებულებები, რომლებიც არ შესრულებულა (მაგალითად, თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა შეკვეთილია, მაგრამ ჯერ არ არის მიღებული), არ აისახება საწარმოს ბუღალტრულ ბალანსში. მაგრამ ზოგჯერ, ასეთმა ვალდებულებამ შესაძლოა დააკმაყოფილოს ვალდებულების ცნება და აღიარების კრიტერიუმი. ასეთ გამონაკლის შემთხვევაში შესაძლებელია მათი აღიარება. ცხადია ვალდებულების აღიარება გამოიწვევს მასთან დაკავშირებული აქტივების ან ხარჯების აღიარებასაც.

ბასს I-ის მიხედვით ყოველმა საწარმომ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განცალკევებულად უნდა ასახოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებები.

მოკლევადიანი ვალდებულებები. საწარმომ ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად უნდა მიიჩნიოს, თუ:

- ა) მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საწარმოო ციკლის განმავლობაში;
- ბ) ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- გ) უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში; ან
- დ) საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

ყველა სხვა ვალდებულება ითვლება გრძელვადიან ვალდებულებად.

ზოგიერთი მოკლევადიანი ვალდებულება, მაგალითად, სავაჭრო ვალდებულებები, ზოგიერთი ტიპის დარიცხვა თანამშრომლებისათვის და სხვა საწარმოო დანახარჯები, საბრუნავი კაპიტალის ნაწილია, რომელიც გამოიყენება საწარმოს საქმიანობის ჩვეულებრივ ციკლში. ასეთი მუხლები მოკლევადიან ვალდებულებად კლასიფიცირდება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ისინი უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვეზე მეტი პერიოდის განმავლობაში.

ზოგიერთი მოკლევადიანი ვალდებულება არ წარმოადგენს მიმდინარე საწარმოო ციკლის ნაწილს და გადასახდელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში ან, ძირითადად, სავაჭრო დანიშნულებით გამოიყენება.

სავაჭროდ გამიზნულად კლასიფიცირებული ფინანსური ვალდებულებები, საბანკო ოვერდრაფტები, გრძელვადიანი ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი, გადასახდელი დივიდენდები, მოგებიდან გადასახადები და სხვა არასავაჭრო ვალდებულებები.

ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც გრძელვადიან დაფინანსებას უზრუნველყოფს (ე.ი. არ წარმოადგენს საბრუნავი კაპიტალის ნაწილს, რომელიც გამოიყენება საწარმოს ჩვეულებრივი საწარმოო ციკლის განმავლობაში) და დასაფარი არ არის საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში, მიიჩნევა გრძელვადიან ვალდებულებებად.

ვალდებულებების ბუღალტრული აღრიცხვისათვის ანგარიშთა გეგმის მიხედვით გამოიყენება შემდეგი ანგარიშები:

3100 “მოკლევადიანი ვალდებულებები”

- 3110 “მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები”
- 3120 “მიღებული ავანსები”
- 3130 “გადასახდელი ხელოფასები”
- 3140 “როიალტი”
- 3150 “საკომისიო გადასახდელები”
- 3160 “ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე”
- 3170 “ვალდებულებები მეკავშირე საწარმოების წინაშე”
- 3190 “სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები”

3200 “მოკლევადიანი სესხები”

- 3210 “მოკლევადიანი სესხები”
- 3220 “სესხები პარტნიორებისაგან”
- 3230 “გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი”

3300 “საგადასახადო ვალდებულებები”

- 3310 “გადასახდელი მოგების გადასახადი”
- 3320 “გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი”
- 3330 “გადასახდელი ღირებულება”
- 3340 “გადახდილი ღირებულება”
- 3350 “გადასახდელი აქციზი”
- 3360 “გადახდილი აქციზი”
- 3370 “სოციალური გადასახადი”
- 3390 “სხვა საგადასახადო ვალდებულებები”

3400 “ღარიცხული ვალდებულებები”

- 3410 “გადასახდელი პროცენტები”
- 3420 “გადასახდელი დივიდენდები”
- 3430 “ვალდებულება საგარანტიო მომსახურებაზე”
- 3490 “სხვა ღარიცხული ვალდებულებები”

4100 “გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები”

- 4110 “გასანაღდებელი ობლიგაციები”
- 4120 “გასანაღდებელი თამასუქები”
- 4130 “ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე”
- 4140 “გრძელვადიანი სესხები”
- 4190 “სხვა გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები”

4200 “გადავადებული გადასახადები და სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები”

- 4210 “გადავადებული მოგების გადასახადი”
- 4220 “სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები”

4300 “ანარიცხები”

- 4310 “საპენსიო უზრუნველყოფის ანარიცხები”
- 4320 “სხვა ანარიცხები”

4400 “გადავადებული შემოსავალი”

- 4410 “გადავადებული შემოსავალი”

ვალდებულებების ანგარიშები მუდმივი – საბალანსო ანგარიშებია, ისინი გამოხატავენ სამეურნეო საშუალებათა წყაროებს, ამიტომ პასიური ანგარიშებია, ამიტომ მათი ზრდა (მოზიდვა) აისახება “კრედიტში”, ხოლო კლება (დაფარვა) აისახება “დებეტში”. მათი საბოლოო ნაშთები აისახება ფინანსური ანგარიშგების კომპონენტში – ბალანსში.

14 . 2 . მოკლევადიანი ვალდებულებების აღრიცხვა**14 . 2 . 1 . საზაჭრო ვალდებულებების აღრიცხვა**

როგორც აღვნიშნეთ ვალდებულებები წარმოადგენს საწარმოს აქტივების დაფინანსების წყაროს.

მოკლევადიანი ვალდებულებები ძირითადად წარმოადგენს – მოკლევადიანი დაფინანსების წყაროს, ხოლო გრძელვადიანი ვალდებულებები – გრძელვადიანი დაფინანსების წყაროს.

მოკლევადიანი დაფინანსების (საბრუნავი კაპიტალის დაფინანსების) წყაროებს წარმოადგენს:

- საბანკო ოვერდრაფტები
- საბანკო სესხები
- საბრუნავი კაპიტალის ეფექტურად მართვა
- მომწოდებელთა მიერ შემოთავაზებული სავაჭრო კრედიტის მაქსიმალური გამოყენება

მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები

კომპანიათა უმეტესობისათვის “მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები” (სავაჭრო კრედიტი) წარმოადგენს მოკლევადიანი დაფინანსების ძირითად წყაროს და სავაჭრო ურთიერთობის ეს ფორმა ფართოდ გამოიყენება.

კომპანიები, რომლებიც დაფინანსების ამ ფორმას იყენებენ დიდ ყურადღებას უნდა უთმობდნენ მის მართვას, რამდენადაც ის მჭიდროდ არის დაკავშირებული საწარმოს ლიკვიდურობისა და მომგებიანობის საკითხთან.

ფირმას შეუძლია სავაჭრო კრედიტით მომწოდებლისაგან მიიღოს საქონელი (ან მომსახურება), დაუყოვნებლივ გადახდის გარეშე.

სავაჭრო კრედიტის ვადები სხვადასხვა დარგისათვის სხვადასხვანაირია და თითოეული დარგისთვის არსებობს რაღაც ზოგადად მიღებული ნორმა.

შესაძლებლობის ფარგლებში მომწოდებლების ნაწილი, ჩვეულებრივ, ფირმას სთავაზობს ანგარიშსწორების ფასდათმობას, მაგრამ როცა ასეთი ფასდათმობა ნებადართულია, მომხმარებლის მიერ ვალდებულების დაფარვის რეჟიმი გარანტირებულად გარკვეული უნდა იყოს მომწოდებლისათვის. თუმცა, ფულადი სახსრების დეფიციტის შემთხვევებში, შემოთავაზებული ფასდათმობის ანგარიშსწორების მიუხედავად, შესაძლებელია, ფირმებისათვის მომწოდებლისგან ნებადართული საკრედიტო პერიოდის მაქსიმალურად გამოყენება უფრო ხელსაყრელი იყოს.

საბრუნავი კაპიტალის შემცირების მიზნით, კრედიტორების ფულის ნებადართულზე უფრო დიდი ხნით შეჩერება არასწორია, რადგან გრძელვადიან პერსპექტივაში ეს გავლენას მოახდენს მომწოდებლების სურვილზე, ფირმისათვის საქონლისა და ნედლეულის მიწოდებასთან დაკავშირებით და შემდგომში გამოიწვევს ხელისშემშლელ მოვლენებს ფირმის საქმიანობაში.

შელავათიანი საკრედიტო პირობები ერთ-ერთია იმ ფაქტორთაგან, რომლებიც გავლენას ახდენს მომწოდებლის შერჩევაზე.

სავაჭრო კრედიტი შეიძლება ჩანდეს, როგორც უპროცენტო კრედიტის წყარო, მაგრამ რეალურად არსებობს დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აღებული კრედიტის შეთანხმებულ პირობებზე დიდხანს გამოყენების შემთხვევაში, ესენია: ფასდათმობების დაკარგვა, მომწოდებლების კეთილგანწყობის დაკარგვა, შემდგომში გაყიდვების უფრო მკაცრი პირობები.

სავაჭრო ვალდებულების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც შეძენილ ფასეულობაზე ყველა რისკი და სარგებელი მყიდველის ხელში გადადის. სავაჭრო ვალდებულება მოიცავს ყველა იმ თანხას, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს მომწოდებლის სასარგებლოდ, მათ შორის იმ თანხებს, რომელიც არ შედის შეძენილი მარაგის თვითღირებულებაში. ასეთი თანხებია შეძენასთან დაკავშირებული ირიბი (დღგ, აქციზი) გადასახადები.

საილუსტრაციო მაგალითი:

მომწოდებლისგან მიღებულია 10.000 ლარის საქონელი, მიღებიდან 15 დღის ვადაში გადახდის პირობით. დღე შეადგენს – 1.800 ლარს.

- დ. 1610 „საქონელი“ - 10.000 ლარი ან
- დ. 7210 „საქონლის დანახარჯები/შეძენა“ - 10.000 ლარი
- დ. 3340 „გადახდილი დღე“ - 1.800 ლარი
- კ. 3110 „მოწოდ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები“ - 11.800 ლარი

გადახდილია მომწოდებლის ვალი 11.800 ლარი საბანკო ანგარიშიდან.

- დ. 3110 „მოწოდ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები“ - 11.800 ლარი
- კ. 1210 „ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში“ - 11.800 ლარი

საქონლისა და მომსახურების მომწოდებლების მიმართ ვალდებულებები საწარმომ შეიძლება დაავგუფოს სხვადასხვა ნიშნის მიხედვით და ისე ასახოს. ვთქვათ ძირითადი მომწოდებლებისათვის გამოიყენოს ანგარიში 3110 „მომწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები“, ხოლო სხვა მომსახურების მომწოდებლებისათვის ანგარიში 3190 „სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები“.

საილუსტრაციო მაგალითი:

კომპანიამ მიიღო ანგარიში იანვრის თვის სატელეფონო მომსახურების შესახებ 1.000 ლარზე. დაფარვა ხდება თებერვალში:

- დ. 7430 „კომუნიკაციის ხარჯი“ – 1.000 ლარი
- კ. 3190 „სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები“ – 1.000 ლარი

მიღებული ავანსების აღრიცხვა

მყიდველსა და მომწოდებელს შორის სავაჭრო ურთიერთობაში ხშირად გამოიყენება წინასწარი გადახდა. მყიდველის მიერ წინასწარ გადახდილი თანხები მიმწოდებელ საწარმოში აისახება მიღებული ავანსის სახით, რომელიც მოკლევადიან ვალდებულებას წარმოადგენს. იგი ვალდებულებაა იმიტომ, რომ საწარმოს ევალება მიღებული ავანსის დასაქონლება, ე.ი. სანაცვლო აქტივის მიწოდება ან მომსახურების გაწევა.

ბევრი საწარმო, როგორცაა: სარემონტო კომპანიები, სამშენებლო ფირმები, ხელშეკრულების თანახმად ითხოვენ ნაწილობრივ შენატანს ავანსის სახით მუშაობის

დაწყებამდე. მიღებული ავანსი ითვლება მოკლევადიან ვალდებულებად მანამდე, სანამ საქონელი არ იქნება გაცემული ან მომსახურეობა გაწეული.

მიღებული ავანსები აღირიცხება ანგ. **3120 "მიღებული ავანსები"-ს** ანგარიშსზე. თუ ხელშეკრულება დამკვეთსა და მყიდველს შორის მოიცავს რამდენიმე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში შესასრულებელ სამუშაოს (მაგალითად, შენობის აშენება) და მყიდველი წინასწარ ახორციელებს თანხის ნაწილის გადახდას, ამ შემთხვევაში გამყიდველისათვის მიღებული თანხა იქნება გრძელვადიანი ვალდებულება რომელიც აღირიცხება ანგ. **4410 "გადავადებული შემოსავალი"**.

საილუსტრაციო მაგალითი:

დამკვეთსა და მყიდველს შორის ხელშეკრულება მოიცავს სამშენებლო სამუშაოს, რომელიც უნდა დასრულდეს 3 წლის განმავლობაში. დამკვეთმა სამშენებლო ფირმას შეთანხმების საფუძველზე 20X1 წლის 10 იანვარს გადმოურიცხა წინასწარ 300.000 ლარი. სამუშაო უნდა დასრულდეს 20X4 წლის 1 თებერვალს.

ოპერაცია ბუღალტრულად აისახება:

დ. 1210 "ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში" – 300.000 ლარი

კ. 4410 "გადავადებული შემოსავალი" – 300.000 ლარი

20X3 წლის 31 დეკემბერს სამშენებლო ფირმის აღრიცხვაში მოხდება შემდეგი ბუღალტრული ასახვა:

დ. 4410 "გადავადებული შემოსავალი" – 300.000 ლარი

კ. 3120 "მიღებული ავანსი" – 300.000 ლარი

სამშენებლო ფირმამ შეასრულა დაკვეთა რომლის თვითღირებულება შეადგენდა 400.000 ლარს და აღიარა 500.000 ლარის შემოსავალი:

დ. 3120 "მიღებული ავანსი" – 300.000 ლარი

დ. 1410 "მოთხოვნა მიწოდებიდან და მომსახურებიდან" – 200.000 ლარი

კ. 6110 "შემოსავალი რეალიზაციიდან" – 500.000 ლარი

დ. 7100 "რეალიზებულ პროდუქციის თვითღირებულება" – 400.000 ლარი

კ. 1640 "შზა პროდუქცია" – 400.000 ლარი

მოქმედებითა და საამართლოების აღრიცხვა

საწარმო და ორგანიზაციები სამეურნეო საქმიანობიდან გამომდინარე სამუშაოების შესასრულებლად ქირაობს პერსონალს შრომითი ხელშეკრულებით. ხელშეკრულებაში ნაჩვენებია დამქირავებლის მიერ შეთავაზებული სამუშაოს შინაარსი, შესრულების პირობები, ვადები და სხვა. აგრეთვე ანაზღაურების პერიოდები და ვადები.

საწარმოში უმეტეს შემთხვევაში არსებობს პირი ან განყოფილება, რომელიც უძღვება კადრების აღრიცხვის საქმეს.

მომუშავეთა გასამრჯელოებს განეკუთვნება:

- ა) მომუშავეთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, მაგალითად: ხელფასები, სოციალური დაცვის შენატანები, წლიური ფასიანი შვებულება და ბიულეტენი, მოგების განაწილება და პრემიები (თუ მათი გადახდა ხდება სააღრიცხვო პერიოდის შემდგომი 12 თვის განმავლობაში) და არაფულადი დახმარებები (მაგალითად: სამედიცინო მომსახურება, ბინითა და ავტომანქანით უზრუნველყოფა, უფასო ან სუბსიდირებული საქონელი ან მომსახურება) არსებულ თანამშრომელთათვის;
- ბ) შრომითი საქმიანობის შემდგომი პერიოდის გასამრჯელოები, მაგალითად: პენსიები და სხვა სახის საპენსიო დახმარებები, სიცოცხლის დაზღვევა და სამედიცინო მომსახურება მუშაობის შემდგომ პერიოდში;
- გ) მომუშავეთა სხვა გრძელვადიანი გასამრჯელოები, მათ შორის, შვებულება ხანგრძლივი მუშაობის სტაჟისათვის ან ანაზღაურებადი შემოქმედებითი შვებულება, საიუბილეო ან სხვა დახმარებები ხანგრძლივი სამსახურისათვის, გრძელვადიანი დახმარებები შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში, ასევე მოგებაში მონაწილეობა, პრემიები და გადავადებული კომპენსაცია იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გასამრჯელოები გაიცემა პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ;
- დ) შრომითი საქმიანობის შეწყვეტასთან დაკავშირებული დახმარებები.

მომუშავეთა გასამრჯელოები მოიცავს მომუშავეთათვის ან მათ კმაყოფაზე მყოფ პირთა მიმართ გაწეულ დახმარებებს ფულადი (ან საქონლისა და მომსახურების) სახით. დახმარება შეიძლება მიიღოს უშუალოდ მომუშავემ, მისმა მეუღლემ, შვილებმა ან მათ კმაყოფაზე მყოფმა სხვა პირებმა ან სხვებმა, მაგალითად, სადაზღვეო კომპანიებმა.

საწარმოში მომუშავე შეიძლება დასაქმებული იყოს მთლიან ან ნახევარ განაკვეთზე, მუდმივად ან დროებით. ამ სტანდარტის მიზნებისათვის მომუშავე გულისხმობს ღირეუტორებსა და სხვა დონის მენეჯერებსაც.

დაქირავებულთა შრომის ანაზღაურების საკითხები ეხება არა მხოლოდ ხელფასს, არამედ სხვა ანაზღაურებებსაც ბასს 19-ის “დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების” მიხედვით.

ამდენად არსებობს ანაზღაურების ორი სახე: ძირითადი და დამატებითი.

ძირითადი - ანაზღაურება არის ხელფასები, რასაც იღებენ მუშაკები მათ მიერ შესრულებული სამუშაოს საფასურად. დამატებითია ხელფასი, როცა მუშაკი იღებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ანაზღაურებას, რაც უშუალოდ არ გამომდინარეობს კონკრეტულად დახარჯული შრომის ანაზღაურებიდან.

დამატებითი - ხელფასს მიეკუთვნება მორიგი შვებულების ანაზღაურება, სახელმწიფო და საზოგადოებრივი დავალების შესრულების დროს გამოწერილი ანაზღაურება, მცირეწლოვანთა შეღავათიანი საათების ანაზღაურება, დროებით შრომის უუნარობის ანაზღაურება და ა.შ.

ძირითადი და დამატებითი ხელფასი გათვალისწინებულია ხელფასის ფონდში. რაც შეეხება დროებით შრომის უუნარობის ანაზღაურებას, შვებულების დღეები მშობიარობასთან

დაკავშირებით და ა.შ. ისინი იფარება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და საწარმოს მიერ შექმნილი ანარიცხებიდან.

დაქირავებულთა შრომის ანაზღაურების სისტემები ძირითადად დაფუძნებულია ორ ფორმაზე: დროით და სანარდო ანაზღაურებაზე.

ანაზღაურების ფორმას, რომელსაც საფუძვლად უდევს სამუშაოს შესასრულებლად დახარჯული დრო, დროითი ფორმა ეწოდება.

ხოლო ანაზღაურების ფორმას, რომელსაც საფუძვლად უდევს დროის მონაკვეთში წარმოებული პროდუქციის ან შესრულებული სამუშაოს მოცულობა, სანარდო ფორმა ეწოდება.

დროითი ანაზღაურება. დროითი ანაზღაურება შეიძლება განისაზღვროს ყოველთვიური ხელფასის განაკვეთით, ან კაცდღეების (კაცსაათების) გამოთქმავების კვალობაზე. ამ დროს შეფასდება ერთი კაცდღე ან კაცსაათი და თვის მანძილზე მუშაკის მიერ გამოთქმავებული კაცდღეები ან კაცსაათები გადამრავლება ერთეულის შეფასებაზე და მიიღება თანხა, რომელიც დაერიცხება მუშაკს ხელფასის სახით. 1 საათის შეფასება დამოკიდებულია მუშაკის კვალიფიკაციაზე და იგი განისაზღვრება კატეგორიებით, თანრიგებით და ა.შ. სხვადასხვა საათობრივი სატარიფო განაკვეთები. თუ მუშაკს ეძლევა დროითი განაკვეთით ხელფასი დროითი ხელფასის აღსარიცხავად ძირითადად გამოიყენება ტაბელი.

ტაბელი - არის მუშებისა და მოსამსახურეების სახელობითი სია, სადაც თითოეულ მუშასა და მოსამსახურეს ეთმობა ერთი სტრიქონი, რომელზეც თანმიმდევრობით ყოველდღიურად კეთდება აღნიშვნები ნამუშევარი საათების მიხედვით და ყველა არანამუშევარი დროის აღრიცხვა მიზეზების ჩვენებით. ტაბელის მიხედვით აღრიცხვა იწარმოება ყოველდღე, სამუშაო საათების დამთავრებისას.

სანარდო ანაზღაურება. ტაბელი საჭიროა სანარდო ხელფასის ასანაზღაურებლადაც, მაგრამ მარტო სატაბელო აღრიცხვა არაა საკმარისი შესრულებული სამუშაოების ასანაზღაურებლად, რადგან ამ დროს ცნობილი უნდა იყოს მუშაკმა რა სამუშაოები და როგორ შეასრულა, რამდენი ერთეული ნაკეთობა გამოიმუშავა და ა.შ. ამის მერე გაირკვევა, რამდენი ხელფასი დაერიცხება მუშაკს.

სათანადო ფორმის დროს შეიძლება გამოყენებული იქნეს შრომის ანაზღაურების სხვადასხვა სისტემები. მაგ. პირდაპირი სანარდო. ამ სისტემის დროს გამოთქმავების მოცულობასა და მუშის ანაზღაურებას შორის არსებობს პირდაპირი კავშირი. რა პროცენტითაც იზრდება პროდუქციის გამოშვება, იმდენივე პროცენტით იზრდება ანაზღაურება. ფაქტიური გამოშვება მრავლდება ერთეულის შეფასებაზე.

მაგალითად: მუშამ დაამზადა 1.000 დეტალი. 1 დეტალის შეფასება 0.5 ლარი. მაშინ მუშას დაერიცხება ხელფასი: $1.000 \times 0.5 = 500$ ლარი.

სანარდო - პრემიალური. ამ სისტემის დროს პირდაპირი სანარდო სისტემის დარიცხულ ხელფასს ემატება პრემიები სხვადასხვა მაჩვენებლებისათვის. მ.შ. მასალების ეკონომიისათვის, ხარისხის ამაღლებისათვის და სხვა. პრემიის განაკვეთს აწესებს დირექცია.

მაგ. ზემოთ აღნიშნულმა მუშაკმა მიიღო პრემია მასალების ეკონომიისათვის ხელფასის 20%. ე.ი. $500 \times 20\% = 100$ ლარი. მისი ხელფასი მაშინ იქნება: $500 + 100 = 600$ ლარი.

შეიძლება გამოყენებული იქნას სანარდო – პროგრესული სისტემა, რომელიც ითვალისწინებს გამომუშავების შეფასებას დიფერენცირებული წესით. შრომის ანაზღაურება გამომუშავების ნორმის ფარგლებში წარმოებს ჩვეულებრივი შეფასებით, ხოლო ნორმის ზევით გამოშვებული პროდუქციის შეფასება მატულობს გეგმის გადაჭარბების მიხედვით პროგრესულად. ეს მეთოდი გამოიყენება ისეთ დარგებში, სადაც დაგეგმილია პროდუქციის გამომშვების მოცულობის დიდი ზრდა.

ფართოდაა გავრცელებული შრომის ანაზღაურების აკორდული სისტემა, რომლის დროსაც შეფასებულია მთელი სამუშაო, შემადგენელი ნაწილებად დაყოფის გარეშე და გამომუშავების ნორმაც დადგენილია მთლიანი სამუშაოს მიხედვით. მუშაკს ან მუშაკთა ჯგუფს ხელფასი დაერიცხება შესასრულებელი სამუშაოების სრულად და ხარისხიანად დასრულების შემდეგ.

ბასს 19-ის “დაქირავებულ მომუშავეთა გასაძრჯელობის” მიხედვით:

მოგებაში მონაწილეობის ზოგიერთი პროგრამის მიხედვით, მომუშავე მოგებიდან წილს იღებს იმ შემთხვევაში, თუ ის საწარმოში იმუშავეს გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ასეთი პროგრამები წარმოშობს კონსტრუქციულ ვალდებულებას, რადგან მომუშავე ეწევა მომსახურებას, რომელიც ზრდის გადასახდელ თანხას, თუ ისინი საწარმოში დარჩებიან გარკვეული პერიოდის ბოლომდე. ამგვარი კონსტრუქციული ვალდებულებების შეფასება გვიჩვენებს, რომ შესაძლებელია ზოგმა მომუშავემ საწარმო დატოვოს მოგებიდან თანხის მიუღებლად.

საილუსტრაციო მაგალითი:

მოგებაში მონაწილეობის პროგრამის მიხედვით საწარმო ვალდებულია წლის წმინდა მოგებიდან გარკვეული ნაწილი გადაუხადოს იმ მომუშავეებს, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში მუშაობდნენ საწარმოში. თუ ამ ხნის მანძილზე საწარმოს არაფერი დატოვებს, მიმდინარე წელს გადასახდელი მთლიანი თანხა იქნება წმინდა მოგების 3%. საწარმოს შეფასებით სამუშაო ძალის დენადობა გადასახდელ თანხას 2,5%-მდე შეამცირებს. წმინდა მოგება შეადგენს 20.000 ლარს.

საწარმო აღიარებს ვალდებულებას და ხარჯს, რომელიც წმინდა მოგების 2,5%-ს უდრის.

$$20.000 \times 2.5\% = 5.000 \text{ ლარი}$$

მოგებაში მონაწილეობისა და პრემიების მიხედვით ვალდებულება წარმოიშობა მომუშავეს მომსახურების საფუძველზე და არა საწარმოს მფლობელთა გადაწყვეტილების შედეგად. ამიტომ მოგებაში მონაწილეობისა და პრემიების პროგრამის დანახარჯს საწარმო აღიარებს არა როგორც წმინდა მოგების განაწილებას, არამედ როგორც ხარჯს.

თუ მოგებაში მონაწილეობისა და პრემიების მიხედვით გადახდა მთლიანად არ ხდება მომსახურების იმ პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც მომუშავემ გასწია შესაბამისი მომსახურება, ისინი ითვლება სხვა გრძელვადიან გასამრჯელოდ.

ხელფასთან დაკავშირებული ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვა

მუშაკებისათვის გადასახდელი ხელფასის აღსარიცხავად ანგარიშთა გეგმით გათვალისწინებულია ანგ. 3130 „გადასახდელი ხელფასები“. იგი პასიური ანგარიშია, რომლის კრედიტში ჩაიწერება მუშაკებისათვის კუთვნილი ან დარიცხული ყოველგვარი ანაზღაურება ხარჯების ანგარიშების დებეტთან კორესპოდენციით, ხოლო 3130 „გადასახდელი ხელფასები“ დებეტში ჩაიწერება ხელფასებიდან დაკავებები და ხელფასის გაცემა. ხელფასიდან ხდება საშემოსავლო გადასახადის დაკავება. იგი აღნიშნული კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო გადასახადია. გადასახადის გარდა შეიძლება ხელფასიდან დაკავებული იქნას სხვადასხვა სახის გადასახდელები, როგორიცაა: ალიმენტი, რომელიც ეკავებათ სასამართლო აღმასრულებელი ფურცლით, წუნისათვის, ნისიად შეძენილი საქონლისათვის, სესხი, რომელიც მიიღო მუშაკმა და სხვა.

მოკლევადიანი გასამრჯელოების ბუღალტრული აღრიცხვის საილუსტრაციოდ განვიხილოთ რამდენიმე ოპერაცია (პერიოდული აღრიცხვის სისტემისათვის).

საილუსტრაციო მაგალითი:

დაერიცხა ხელფასი: ძირითად მუშებს 2.000; დამხმარე მუშებს 700; მშენებლობის მუშებს 1.000; ადმინისტრაციულ პერსონალს 1.400 ლარი:

- დ. 7120 „პირდაპირი ხელფასი“ - 2.000 ლარი
- დ. 7150 „არაპირდაპირი ხელფასი“ - 700 ლარი
- დ. 2120 „დაუმთავრებელი მშენებლობა“ - 1.000 ლარი
- დ. 7410 „შრომის ანაზღაურება“ - 1.400 ლარი
- კ. 3130 „გადასახდელი ხელფასები“ - 5.100 ლარი

მარაგის მუდმივი აღრიცხვის სისტემის დროს ანგარიშების 7120 და 7150-ის ნაცვლად გამოყენებული იქნებოდა ანგარიში №1630.

დაკავებულია მომუშავეთა საშემოსავლო გადასახადი (20%) 1.020 ლარი:

- დ. 3130 „გადასახდელი ხელფასები“ - 1.020 ლარი
- კ. 3320 „გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი“ - 1.020 ლარი

გაცემულია ხელფასი სალაროდან 4.080 ლარი:

- დ. 3130 „გადასახდელი ხელფასები“ - 4.080 ლარი
- კ. 1110 „ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში“ - 4.080 ლარი

ბიუჯეტში გადარიცხულია საშემოსავლო გადასახადი:

- დ. 3320 „გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი“ - 1.020 ლარი
- კ. 1210 „ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში“ - 1.020 ლარი

შრომის კანონთა კოდექსის შესაბამისად, საწარმოს მომუშავეს უფლება აქვს ისარგებლოს ყოველწლიური შვებულებით. გამოუყენებელ შვებულებაზე უფლება გრძელდება მომდევნო პერიოდში. იმის გამო, რომ მომუშავეს შვებულება ეკუთვნის საანგარიშგებო პერიოდში და ეს უფლება გადადის მომდევნო პერიოდში, შესაბამისობის პრინციპის დაცვით, აუცილებელია საშვებულებო ანაზღაურების თანხა მიეკუთვნოს საანგარიშგებო პერიოდის ხარჯებს (ან აქტივის თვითღირებულებას). აქედან გამომდინარე, საწარმო ყოველი წლის ბოლოს აზუსტებს მომავალ პერიოდში გადასახდელი საშვებულებო ანაზღაურების თანხის ოდენობას და აღიარებს მას დარიცხული ვალდებულების სახით. მომდევნო წელს შვებულების ფაქტობრივად გამოყენების მომენტში ხდება დარიცხული საშვებულებო ვალდებულების კორექტირება.

საილუსტრაციო მაგალითი:

დარიცხულია საშვებულებო ვალდებულება ადმინისტრაციულ მუშაკზე 3.500 ლარის ოდენობით:

დ. 7411 „საშვებულებო ხარჯი“ - 3.500 ლარი

კ. 3440 „დარიცხული საშვებულებო ვალდებულება“ - 3.500 ლარი

შვებულების ფაქტობრივად გამოყენებისას დარიცხულია შვებულების ანაზღაურება დარიცხული საშვებულებო ვალდებულების ხარჯზე 1.200 ლარი:

დ. 3440 „დარიცხული საშვებულებო ვალდებულება“ - 1.200 ლარი

კ. 3131 „გადასახდელი შვებულების ანაზღაურება“ - 1.200 ლარი

დარიცხულია პრემია:

დ. 7412 „პრემიის ხარჯი“ - 700 ლარი

კ. 3130 „გადასახდელი ხელფასები“ - 700 ლარი

საწარმოში მუშაკებთან ანგარიშსწორების დოკუმენტაცია შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ვარიანტით: საანგარიშსწორებო საგადახდო უწყისით, ან საანგარიშსწორებო უწყისით, ან საბანკო ანგარიშსწორებით.

საანგარიშსწორებო საგადახდო უწყისი ოთხი განაყოფისაგან შედება:

- პირველ განაყოფში მოცემულია მონაცემები მომუშავეებზე: გვარი, სახელი, ტაბელის №, თანამდებობა და ა.შ.
- მეორე განაყოფში მოცემულია დარიცხული ხელფასი სახეების მიხედვით;
- მესამე განაყოფში მოცემულია დაკავებები;
- მეოთხე განაყოფში კი ხელზე გასაცემი თანხა, რომელიც შემდეგნაირად გაიანგარიშება: სულ დარიცხულ ხელფასს გამოაკლდება სულ დაკავებები და მიიღება ხელზე გასაცემი თანხა, რომელიც გაცემის დროს დასტურდება მიმღების ხელისმომწერით.

იგი ხელფასის დარიცხვის დოკუმენტიც არის და გაცემისაც. გამოიყენება შედარებით პატარა საწარმოებში და უფრო დროით ანაზღაურებაზე მყოფ მუშაკთა მიმართ.

საანგარიშსწორებო უწყისით ანგარიშსწორებისას აუცილებელია მეორე დოკუმენტის, გადახდის უწყისის გამოყენებაც, რომელშიც იწერება საანგარიშსწორებო უწყისის საფუძველზე გამოანგარიშებული ხელზე გასაცემი თანხა და ხელის მოწერა თანხის მიღებაზე.

ხელფასის ანგარიშსწორების ფურცელი ძირითადად გამოიყენება მენარდე მუშების მიმართ. იგი ღება თვის ბოლოს ორ ეგზემპლარად და ერთი ეგზემპლარი ეძლევა მუშას. ხელფასის გაცემა ამ შემთხვევაშიც წარმოებს გადახდის უწყისით.

როგორი ფორმითაც არ უნდა იყოს ხელფასის უწყისი, მას ხელს აწერენ საწარმოს ხელმძღვანელი, მთავარი ბუღალტერი ან ბუღალტერი. თანხა ნაჩვენები უნდა იყოს ციფრებით და სიტყვიერად. უწყისი გადაეცემა მოლარეს ხელფასის გასაცემად. ხელფასი უნდა გაიცეს წინასწარ დადგენილ ვადაში. ვადის მოწურვის დღეს მოლარე ხელფასის გაცემის უწყისში აკეთებს აღნიშვნას **“დებონირებულია”** იმ გვარების გასწვრივ ვისაც ხელფასი არ მიუღია, ხოლო გაცემულ ხელფასზე კი აღნიშნული იქნება მიმღების ხელისმოწერა. უწყისს ხურავს მოლარე, რომელიც უწყისის პირველ გვერდზე აღნიშნავს თუ რა თანხაა ამ უწყისით გაცემული და რამდენია დებონირებული. მიუთითებს სალაროს გასავლის ორდერს, რომელსაც გამოწერს ბუღალტერი ხელფასის უწყისის შესაბამისად ფაქტიურად გაცემულ ხელფასის თანხაზე. მოლარე ადგენს დებონირებული თანხების რეესტრს და აბარებს ბუღალტერიას. ის მუშაკი, ვინც თავის დროზე ვერ მიიღო ხელფასი, წერს განცხადებას საწარმოს ხელმძღვანელის სახელზე დებონირებული თანხის მიღების შესახებ. დებონირებული ხელფასის გაცემა ხდება სალაროს გასავლის ორდერით. დებონირებულ ხელფასზე გვექნება ასეთი გატარება:

დ. – 3130 “გადასახდელი ხელფასები”

კ. – 3160 “გაღებულულები საწარმოს პერსონალის წინაშე”

ხოლო დებონირებული ხელფასის მიღებაზე:

დ. – 3160 “გაღებულულები საწარმოს პერსონალის წინაშე”

კ. – 1110 “ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში”

თუ ხელფასის გაცემა ხდება საბანკო ოპერაციებით პირად ანგარიშზე ჩარიცხვით, ამ დროს საწარმო ბანკს უგზავნის მუშაკებზე ხელზე გასაცემი ხელფასის უწყისებს და ბანკი მოახდენს პირად ანგარიშებზე ჩარიცხვას.

ამ დროს ოპერაცია ბუღალტრულად აისახება:

დ. – 3130 “გადასახდელი ხელფასები”

კ. – 1210 “ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში”

ხელფასთან დაკავშირებული ოპერაციები აისახება შესაბამის რეგისტრებში. კეთდება ნაკრები მონაცემები სულ დარიცხულ ხელფასზე სახეებისა და მუშაკთა კატეგორიების მიხედვით, და აგრეთვე ყველა დაკავებაზე. ცალკეულ მუშაკებზე ანალიზურად ხდება ხელფასთან დაკავშირებული ოპერაციების ასახვა.


14 . 2 . 2 . მოკლევადიანი სესხების აღრიცხვა

მოკლევადიანი სესხები განკუთვნილია საწარმოს იმ სასესხო ვალდებულებების აღსარიცხავად, რომელთა გადახდა უნდა მოხდეს სესხის მიღებიდან ერთ წლამდე ვადაში. მოცემულ ანგარიშებზე აღირიცხება ასევე გრძელვადიანი სესხების ის ნაწილი, რომელიც უნდა დაიფაროს ბალანსის შედგენიდან ერთი წლის განმავლობაში.

სესხი მიზნობრივია, ვადიანია და დაბრუნებადია. ამავე დროს სარგებელიანია. ე.ი. საწარმო სესხით სარგებლობისათვის იხდის გარკვეულ %-ს.

მოკლევადიანი სესხი აღირიცხება 3200 “მოკლევადიანი სესხები”-ს ანგარიშებზე. ისინი პასიური ანგარიშებია:

3200 “მოკლევადიანი სესხები”



სესხის აღრიცხვის ბუღალტრული ასახვა შემდეგნაირად ხდება:

სესხის აღება, ფული მიღებულია საბანკო ანგარიშსზე:

დ. – 1210 “ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში”

კ. – 3210 “მოკლევადიანი სესხები”

სესხის დაფარვა, ფული გადახდილია საბანკო ანგარიშიდან:

დ. – 3210 “მოკლევადიანი სესხები”

კ. – 1210 “ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში”

სესხზე %-ის ღარიცხვა:

დ. – 8210 “საპროცენტო ხარჯი”

კ. – 3410 “გადასახდელი პროცენტები”

სესხზე %-ის გადახდა:

დ. – 3410 “გადასახდელი პროცენტი”

კ. – 1210 “ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში”

სესხი შეიძლება მიღებული იქნას პარტნიორისაგან:

დ. – 1210 “ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში”

კ. – 3220 “სესხები პარტნიორებისაგან”

სესხის დაფარვა:

დ. – 3220 “სესხები პარტნიორებისაგან”

კ. – 1210 “ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში”

სესხების ანალიზური აღრიცხვა ხდება სესხის სახეების მიხედვით ცალ-ცალკე. ანალიზური აღრიცხვის ბრუნვათა უწყისებში, ხოლო სინთეზურად შესაბამის სინთეზურ ანგარიშებზე მთავარ წიგნში, იქედან კი ბალანსში.

14 . 2 . 3 . საგადასახადო ვალდებულებების აღრიცხვა

გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო ვალდებულებები განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსით. საგადასახადო კოდექსით მოქმედებს საერთო სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები, რომელთა გადამხდელები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები. გადასახადების გადახდა ხდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ერთიანი განაკვეთის მიხედვით.

მოქმედი ანგარიშთა გეგმის მიხედვით საგადასახადო ვალდებულებების აღსარიცხავად განკუთვნილია შემდეგი ანგარიშები:

3300 “საგადასახადო ვალდებულებები”

- 3310 “გადასახდელი მოგების გადასახადი”
- 3320 “გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი”
- 3330 “გადასახდელი დღგ”
- 3340 “გადახდილი დღგ”
- 3350 “გადასახდელი აქციზი”
- 3360 “გადახდილი აქციზი”
- 3370 “სოციალური გადასახადი”
- 3390 “სხვა საგადასახადო ვალდებულებები”

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადის გადამხდელები არიან საქართველოს საწარმოები და უცხოური საწარმოები (იურიდიული პირები). დაბეგვრის ობიექტია მოგება, რომელიც განისაზღვრება როგორც სხვაობა ერთობლივ შემოსავლებსა და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ გამოქვითებს შორის. მოგება იბეგრება 15%-ით. დარიცხული მოგების გადასახადი გატარდება ბუღ. მუხლით:

დ. – 9210 “მოგების გადასახადის ხარჯი”

კ. – 3310 “გადასახდელი მოგების გადასახადი”

ფინანსური შედეგი გამოვლინდება წლის ბოლოს. წლის განმავლობაში კი გადასახადი უნდა გადაირიცხოს ავანსად, რომელიც სწორდება წლის ბოლოს.

საშემოსავლო გადასახადის აღრიცხვა. საშემოსავლო გადასახადის გადამხდელები არიან რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური პირები. მაგრამ საგადასახადო კოდექსის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საწარმოს, როგორც საგადასახადო აგენტს, ევალება გადასახადის წყაროსთან გადასახადის დაკავება და შემდგომი ანგარიშსწორება ბიუჯეტთან. კერძოდ, საწარმო საშემოსავლო გადასახადის გადამხდელ საგადასახადო აგენტად ითვლება, დაქირავებულისათვის ხელფასის სახით გაცემული გადახდის წყაროსთან მიმართებაში. გარდა ამისა, საწარმოს ევალება გაცემული პროცენტებიდან და დივიდენდებიდან გადასახადების დაკავება და ბიუჯეტისათვის გადარიცხვა. საწარმო დაქირავებული პირისათვის საზღაურის დარიცხვის მომენტშივე, დადგენილი საგადასახადო

განაკვეთის შესაბამისად, აკავებს საშემოსავლო გადასახადს და მისი ბიუჯეტისათვის გადახდის აუცილებლობა დგება მაშინ, როდესაც მომუშავეისათვის საზღაური გაიცემა.

საშემოსავლო გადასახადებიდან გამომდინარე, საგადასახადო ვალდებულებების აღრიცხვასთან დაკავშირებით, საწარმოში აღვილი ექნება შემდეგ ბუღალტრულ გატარებას:

დაქირავებულისათვის საშემოსავლო გადასახადის დაკავების დროს:

დ. – 3130 "გადასახდელი ხელფასები"

კ. – 3320 "გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი"

ბიუჯეტისათვის საშემოსავლო გადასახადის გადარიცხვის დროს:

დ. – 3320 "გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი"

კ. – 1100; 1200 "ფულადი სახსრების ანგარიში"

ინდივიდუალური მეწარმეებისათვის საშემოსავლო გადასახადი გადაიხდებოდა მსგავსად იურიდიული პირების მოგების გადასახადისა – წლიურად და მიმდინარე გადასახადების სახით, ის მეწარმე ფიზიკური პირისათვის ხარჯს წარმოადგენს.

დღგ საწარმოსათვის არაპირდაპირი გადასახადია და, აქედან გამომდინარე, საწარმოს ევალება ფასეულობათა შეძენის დროს მომწოდებელს, ფასეულობის ღირებულებასთან ერთად, გადაუხადოს დღგ, რომლის ჩათვლის უფლება აქვს გაყიდვებთან დაკავშირებით ბიუჯეტისათვის დღგ-ის გადახდის ვალდებულების წარმოშობის დროს (ჩათვლის უფლებით სარგებლობს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი).

ბიუჯეტის კუთვნილი დღგ = პერიოდის განმავლობაში გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ-ს გამოკლებული პერიოდის განმავლობაში შესყიდვებთან დაკავშირებული დღგ.

დღგ-სთან დაკავშირებით პერიოდი მოიცავს ერთ ან სამ თვეს. პერიოდის განმავლობაში გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ აღრიცხვაში მოიხსენიება როგორც გადასახდელი, ხოლო შესყიდვებთან დაკავშირებული დღგ – როგორც ჩასათვლელი დღგ. მათ შორის სხვაობა არის ბიუჯეტის კუთვნილი ან ბიუჯეტიდან დასაბრუნებელი დღგ.

თუ პირი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მას არ წარმოეშობა დღგ-ს გადახდის ვალდებულება და შესაბამისად, არ გააჩნია შეძენასთან დაკავშირებით გადახდილი დღგ-ის მოთხოვნის უფლება.

რადგან დღგ დაკავშირებულია მიწოდებასთან, ფულადი ნაკადის მიღება მოიცავს მიწოდებული ფასეულობის ღირებულებასა და თვით დღგ-ის თანხას. ე.ი. ხდება შემოსავლის მიღება და ერთდროულად ვალდებულების წარმოშობა ბიუჯეტთან მიმართებაში. ანალოგიურად, შეძენის დროს ფულადი საშუალების გასვლასთან ერთად, წარმოიშობა აქტივი ან ხარჯი და მოთხოვნა ბიუჯეტის წინაშე. ცხადია, ბასს-ის მოთხოვნების გათვალისწინებით, არ შეიძლება შემოსავალი და ვალდებულება ერთად, ჯამით იქნეს აღიარებული. ასევე არ შეიძლება აქტივი და ვალდებულება ყოველი ოპერაციის შემდეგ ერთმანეთს ფარავდეს. აქედან გამომდინარე, გადასახდელი დღგ და გადახდილი დღგ ცალ-ცალკე ანგარიშზე აღრიცხვას ექვემდებარება. ე.ი. უნდა არსებობდეს დღგ-ის ვალდებულების ანგარიში (გადასახდელი დღგ) და მისი მაკორექტირებელი ანგარიში (გადახდილი დღგ).

წლის ბოლოს აუცილებელია ერთმანეთს შეუდარდეს გადასახდელი დღგ და გადახდილი დღგ-ის ანგარიშების ბრუნვები. უმცირესი ბრუნვა ელიმინირდება უდიდესის ხარჯზე. დარჩენილი ნაშთი გადადის მომდევნო წლის შესაბამის ანგარიშზე.

საილუსტრაციო მაგალითი:

საწარმომ მომწოდებლისაგან კრედიტში შეიძინა – 10.000 ლარის საქონელი, დღგ 1.800 ლარის ოდენობით:

დ. 1610 “საქონელი” – 10.000

დ. 3340 “გადახდილი დღგ” – 1.800

კ. 3110 “მოწოდ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები” – 11.800

საწარმოში მიღებული ანგარიშის თანახმად კომუნიკაციის მომსახურების ხარჯმა შეადგინა 2.000 ლარი დღგ 360 ლარი:

დ. 7430 “კომუნიკაციის ხარჯები” – 2.000

დ. 3340 “გადახდილი დღგ” - 360

კ. 3110 “მოწოდ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები” – 2.360

საქონლის რეალიზაციიდან მიღებულია შემოსავალი 4.720 ლარის ოდენობით. მ.შ. დღგ არის 720 ლარი:

დ. 1110 “ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში” – 4.720

კ. 6110 “შემოსავალი რეალიზაციიდან” – 4.000

კ. 3330 “გადასახდელი დღგ” – 720

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უნდა გავიანგარიშოთ გადახდილი და გადასახდელი დღგ. თუ მათ შორის სხვაობა გამოიხატება სადებეტო ნაშთით, ეს ნიშნავს, რომ გადახდილი დღგ-ს ოდენობა მეტია გადასახდელი დღგ-ს ოდენობაზე და ეს ნაშთი უნდა გადავიტანოთ 1490 “სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები” ანგარიშზე როგორც წინასწარ გადახდილი დღგ.

თუ სხვაობა გამოხატულია საკრედიტო ნაშთით, ეს ნიშნავს, რომ გადასახდელი დღგ-ს ოდენობა მეტია გადახდილი დღგ-ს ოდენობაზე, ამიტომ ნაშთი წარმოადგენს გადასახდელ დღგ-ს, რომელიც ეკუთვნის ბიუჯეტს.

აქსახოთ ეს ოპერაციები ანგარიშებზე:

3340 (გადახდილი დღგ)

დ	კ
6.0	
1) 1800	
2) 360	
ბრ.216	
6. 2160	

3330 (გადასახდელი დღგ)

დ	კ
	6. 0
	3) 720
	ბრ. 720
	6. 720

სხვაობა $2160 - 720 = 1440$ ლარი უნდა გადავიტანოთ 1490 "სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები" ანგარიშზე.

დ. 1490 "სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები" – 1.440 ლარი

კ. 3340 "გადახდილი დღგ" – 1.440 ლარი

აქციზი - არის არაპირდაპირი გადასახადი, რომელიც შედის საქონლის, მომსახურების ფასში და გადაიხდება მყიდველის მიერ. აქციზურ პროდუქციაზე გადასახადის განაკვეთი დაწესებულია %-ით საქონლის ღირებულებიდან გასაცემი ფასებით დღგ-ის გარეშე თუ პროდუქცია წარმოებულია საქართველოში. აქციზის გადამხდელად ითვლება ფიზიკური და იურიდიული პირი, რომელიც აწარმოებს აქციზურ საქონელს ან ეწევა მის იმპორტს საქართველოში. (ყურძნის ღვინოები, ხილის ღვინოები, სპირტიანი სასმელები, ლუდი, თამბაქოს ნაწარმი და ა.შ.).

სხვა საგადასახადო ვალდებულებებში გაერთიანებული არიან ისეთი გადასახადები, რომლებიც ზემოთ ჩამოთვლილ ანგარიშებში არ იყო გათვალისწინებული. დღეისათვის ასეთია: ქონების გადასახადი, ის აღირიცხება 3390 ანგ. "სხვა საგადასახადო ვალდებულებები".

ქონების გადასახადის გადამხდელია ფიზიკური და იურიდიული პირები. ფიზიკური პირისათვის დაბეგვრის ობიექტია უძრავი ქონება და მიწა. იურიდიული პირებისათვის ქონების გადასახადით იბეგრება ბალანსზე რიცხული ქონების: ძირითადი საშუალებების საშუალო წლიური საბალანსო ღირებულების საფუძველზე.

საილუსტრაციო მაგალითი:

საწარმოს ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება (პირვანდელ ღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა) წლის დასაწყისში შეადგენდა – 170 000 ლარს, წლის ბოლოს იგივე მაჩვენებელი შეადგენს – 196.000 ლარს. ქონების გადასახადის ბაზის გათვლა:

$$(170.000 + 196.000) : 2 = 183.000 \text{ ლარი}$$

ასეთი გაანგარიშებით მიღებული ბაზიდან ხდება გადასახადის გათვლა ადგილობრივი თვითმართვულობის ორგანოების მიერ მიღებული დადგენილი განაკვეთით. ვთქვათ განაკვეთი 1%-ია 183.000-ის 1% = 1.830 ლარს. ბუღალტრული გატარება:

დ. 7465 "ქონების გადასახადი" – 1.830 ლარი

კ. 3391 "ქონების გადასახადი" – 1.830 ლარი

14 . 2 . 4 . დარიცხული ვალდებულებების აღრიცხვა

დარიცხული ვალდებულებები წარმოიშობა შესაბამისობისა და დარიცხვის პრინციპების მოთხოვნების შესაბამისად.

არიცხული ვალდებულებების აღიარება შეიძლება დაკავშირებული იყოს ხარჯების ზრდასთან ან გაუნაწილებელი მოგების შემცირებასთან. აქედან გამომდინარე, ღარიცხული ვალდებულებების შემადგენლობაში გაერთიანებულია შემდეგი ანგარიშები:

3400 “ღარიცხული ვალდებულებები”

- 3410 “გადასახდელი პროცენტები”
- 3420 “გადასახდელი დივიდენდები”
- 3430 “ვალდებულება საგარანტიო მომსახურებაზე”
- 3490 “სხვა ღარიცხული ვალდებულებები”

ეს ანგარიშები პასიური ანგარიშებია – კრედიტში იწერება ვალდებულებების ზრდა ე.ი. წარმოშობა, ხოლო დებეტში კი – შემცირება. ე.ი. ვალდებულებების დაფარვა.

პროცენტების ღარიცხვა სესხებზე, ღარიცხვის მეთოდის თანახმად, ყოველ თვეში ხდება. სესხებზე გადასახდელი %-ების ღარიცხვის ასახვა ხდება შემდეგი ბუღალტრული მუხლით:

დ. – 8210 “საპროცენტო ხარჯები”

კ. – 3410 “გადასახდელი პროცენტები”

დივიდენდი წარმოადგენს მოგების ნაწილს, რომელიც ნაწილდება ფირმის მიერ პარტნიორებზე. დივიდენდის გადახდა ხდება პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე. ხშირად გამოცხადებიდან გადახდამდე გარკვეული დრო გადის, ამიტომ გამოცხადებული დივიდენდი არის ფირმის მოკლევადიანი დავალიანება, რადგან დივიდენდების გამოცხადებისთანავე ოპერაცია აისახება ასეთი ბუღ. გატარებით:

დ. – 5310 “გაუნაწილებელი მოგება”

კ. – 3420 “გადასახდელი დივიდენდები”

როცა ხდება დივიდენდების გადახდა, მაშინ გატარდება ასეთი ბუღ. მუხლი:

დ. – 3420 “გადასახდელი დივიდენდები”

კ. – 1110 “წაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში”

ვალდებულებები თავისი ბუნებით შეიძლება დაყვით:

- 1) ფაქტიურ ვალდებულებად
- 2) შეფასებულ ვალდებულებად
- 3) პირობით ვალდებულებად.

ფაქტიური ვალდებულებები წარმოიშობა ხელშეკრულების, კონტრაქტის ან კანონმდებლობის საფუძველზე. ისინი შეიძლება აღვრიცხოთ ზუსტად, ფაქტიური ვალდებულებები შეიცავს ვალდებულებებს გასანაღდებელ ანგარიშებზე. თამასუქებზე, გადასახდელ დივიდენდებზე, დღგ-ს გადასახადზე, აქციზის გადასახადზე, გრძელვადიან ვალდებულებების მიმდინარე ნაწილზე, ღარიცხულ ხელფასზე, ვალდებულებას საქონელზე

ან მომსახურებაზე, რომელიც საწარმომ უნდა მიაწოდოს ან შეასრულოს მომხმარებელიდან ავანსად მიღებული თანხის საფასურად.

შეფასებული ვალდებულებებია, რომელთა ზუსტი თანხა არ დგინდება გარკვეულ ვადაში და ხდება წინასწარი შეფასებით მათი აღიარება. ასეთებია: მოგების გადასახადი, ქონების გადასახადი, საგარანტიო ვალდებულება, შვებულების თანხა და ა.შ.

პირობითი ვალდებულებები ჯერ კიდევ არ არსებული ვალდებულებებია, მაგრამ ისინი არის პოტენციური ვალდებულებები, იმიტომ რომ დამოკიდებულია მომავალ მოვლენებზე, რომელიც გამომდინარეობს წინა შეთანხმებით. მაგ. სამშენებლო ფირმა, რომელიც აშენებს ხიდს და მის წინაშე აღძრული იქნა სისხლის სამართლის საქმე არახარისხიანი მასალების გამოყენებისათვის, მომავალი მოვლენა, რომლის შედეგი უცნობია, არის სარჩელი, რომლის მიხედვითაც პოტენციურად შესაძლებელია, რომ ფირმას დაეკისროს გადასახდელად თანხა. იგი ბუღალტრულ ანგარიშებში აისახება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აკმაყოფილებს ორ პირობას:

- 1) უნდა არსებობდეს მისი მოხდენის შესაძლებლობა; და
- 2) უნდა შეიძლებოდეს მისი შეფასება.

ვალდებულებებს, რომლებიც არ შეესაბამება ამ ორ პირობას აჩვენებენ ფინანსურ ანგარიშგებაში შენიშვნის სახით.

საგარანტიო მომსახურებას ხშირად იყენებენ პროდუქციის მწარმოებელი და საცალო ვაჭრობის კომპანიები.

ბასს 37 “ანარიცხები, პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები”-ს თანახმად:

საგარანტიო მომსახურება არის ან:

- პირდაპირ, ნათლად დადგენილი (იურიდიული); ან
- ნაგულისხმევი (კონსტრუქციული)

მოვალეობა, რომელიც ითვალისწინებს პროდუქციის წუხის გასწორებას ან შეცვლას.

საგარანტიო მომსახურების ანარიცხები. ანარიცხების შექმნა მოითხოვება გაყიდვის მომენტში და არა რემონტის ჩატარების ან საგარანტიო პროდუქციის გამოცვლის დროს, ვინაიდან გაყიდვის ოპერაცია არის ის წარსული მოვლენა, რომელიც წარმოშობს მოვალეობას.

ამათვის საჭიროა, გამყიდველმა გაანალიზოს წარსული გამოცდილება, რათა შეძლოს იმის შეფასება:

- რამდენი პრეტენზია (მოთხოვნა) შეიძლება წარმოიშვას – თუ წარმოების პროცესი (ტექნოლოგია) უმჯობესდება, შეიძლება მომავალში უფრო ცოტა მოთხოვნა წარმოიშვას, ვიდრე წარსულში იყო;
- რამდენი დაჯდება თითოეული რემონტი – თუ ტექნოლოგია უფრო გართულებულია, შეიძლება თითოეული რემონტი უფრო მეტი დაჯდეს, ვიდრე წარსულში.

ანარიცხი, რომელიც გაყიდვის მომენტში შეიქმნება:

- არის ის სარემონტო სამუშაოთა რაოდენობა, რომელიც მოსალოდნელია, რომ საჭირო გახდება მომავალში, თითოეული რემონტის მოსალოდნელი დანახარჯების გათვალისწინებით.

კომპანიამ უნდა განიხილოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, წარსული გამოცდილების ფონზე.

ერთ წლამდე ვადით საგარანტიო მომსახურებით გაყიდული საქონლისათვის საგარანტიო პერიოდში მოსალოდნელი გასაგებების ხარჯად აღიარება მოხდება შემდეგი გატარებით:

დ. – 7390 “მიწოდების სხვა ხარჯები”

კ. – 3430 “ვალდებულება საგარანტიო მომსახურებაზე”

საილუსტრაციო მაგალითი:

კომპანიისაგან კრედიტში რეალიზებულია 45.000 ლარის ღირებულების სამედიცინო აპარატურა, რომელზედაც გაცემულია 6 თვიანი გარანტია. კომპანიის შეფასებით საგარანტიო თანხა რეალიზებული აპარატურის ღირებულების 2% იქნება.

დ. – 7390 “მიწოდების სხვა ხარჯები” – 900 (45.000 X 2%)

კ. – 3430 “ვალდებულება საგარანტიო მომსახურებაზე” - 900

ხოლო თუ საგარანტიო ვადა 1 წელზე მეტია ის აისახება გრძელვადიანი ანარიცხის სახით ანგარიშზე 4320 “სხვა ანარიცხები” ან 4321 ანგარიშებზე

14 . 3 . გრძელვადიანი ვალდებულებების აღრიცხვა

გრძელვადიანი ვალდებულებები კომპანიისათვის წარმოადგენს გრძელვადიანი დაფინანსების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს.

გრძელვადიანი დაფინანსების მეორე წყაროსთან – საკუთარ კაპიტალთან შედარებით, მოზიდულ კაპიტალს (გრძელვადიან ვალდებულებებს) გააჩნია რიგი უპირატესობები და ნაკლოვანებები, რომელიც უნდა გათვალისწინდებული იქნას დაფინანსების წყაროების დაგეგმვის დროს:

სესხის უპირატესობები:

- სესხი ინვესტორისათვის, რადგან ის ნაკლებად რისკიანია, უფრო იაფია, ვიდრე აქციაზე უკუდება;
- საგადასახადო თვალსაზრისით სესხზე გადახდილი %-ის ხარჯად აღიარება ხდება, და მოგების გადასახადის ოდენობით ხდება ამ ხარჯის შემცირება;
- საპროცენტო განაკვეთი წინასწარ შეთანხმებულია და შესაბამისად სესხის გამოყენების ხარჯის წინასწარ ზუსტად განსაზღვრა შესაძლებელია;

- სესხით სარგებლობისას არ მცირდება კაპიტალში მონაწილეობის წილი და კომპანიის კონტროლის უფლებები.

სესხის ნაკლოვანებებია:

- სესხის პროცენტის გადახდა უნდა მოხდეს მიუხედავად საწარმოს ფინანსური შედეგისა (მოგების თუ ზარალის), დივიდენდი კი მხოლოდ მოგების შემთხვევაში გადაიხდება;
- სესხის გადახდის ვადებში საწარმომ უნდა მოახდინოს ამ მიზნით ფულადი სახსრების აუცილებელი მობილიზება და ის თვითონ ვერ არეგულირებს მისი გადახდის დროს;
- გრძელვადიანი სესხის პირობებში როცა საპროცენტო განაკვეთი წინასწარ არის განსაზღვრული, თუ ამ პერიოდში სესხის საპროცენტო განაკვეთი ბაზარზე იკლებს, საწარმო წამგებიან პოზიციაში რჩება და მისი ფინანსური სურათი მძიმდება.

გრძელვადიანი ვალდებულებები დაჯგუფებულია შემდეგ ანგარიშებზე:

4100 “გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები”:

4200 “გადავადებული გადასახადები და სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები”:

4300 “ანარიცხები”:

4400 “გადავადებული შემოსავალი”

14 . 3 . 1 . გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებების აღრიცხვა

ანგარიში “გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები” განკუთვნილია საწარმოს მიერ ერთ წელზე მეტი ვადით აღებული სასესხო ვალდებულებების აღსარიცხავად. იგი ითვალისწინებს, ფასიანი ქაღალდების მოსალოდნელ მიმოქცევას. ამიტომ, მის შემადგენლობაში გაერთიანებული არიან შემდეგი ანგარიშები:

4100 “გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები”

- 4110 “გასანადგებელი ობლიგაციები”
- 4120 “გასანადგებელი თამასუქები”
- 4130 “ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე”
- 4140 “გრძელვადიანი სესხები”
- 4190 “სხვა გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები”

აქედან საქართველოში ობლიგაციებისა და თამასუქის ფორმით ვალდებულებების მოზიდვა პრაქტიკულად არ ხდება, ძირითადად სესხების აღების დროს ბანკებიდან და სხვა კომპანიებიდან გამოიყენება უშუალოდ გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელიც ხშირ შემთხვევაში მოიცავს ზემოთხსენებულ ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელ რეკვიზიტებს, მაგალითად პრაქტიკაში ძირითადად გრძელვადიანი სესხების უმრავლესობა – უზრუნველყოფილია – ანუ გარკვეული აქტივით, ქონებით არის უზრუნველყოფილი ანუ თავისი არსით სათამასუქო ხასიათს ატარებს.

ობლიგაცია - არის ფასიანი ქაღალდი, რომელიც წარმოადგენს ობლიგაციის გამომშვების დაპირებას, ვალდებულებას, რომ ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში გადაუხადოს

ობლიგაციის მფლობელს სესხით სარგებლობისათვის დადგენილი %, ძირითადი თანხა, ე.ი. გასანაღდებელი ობლიგაცია ნომინალური ღირებულება კი გადაიხდება პერიოდის ბოლოს.

სესხის აღებისას შედგება ასეთი ბულ. მუხლი:

- დ. – 1210 “ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში”
კ. – 4110 “გასანაღდებელი ობლიგაციები”

%-ის გადახდის ბუღალტრული მუხლი:

- დ. – 3410 “გადასახდელი პროცენტები”
კ. – 1210 “ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში”

სესხის დაფარვისას კი შედგება ასეთი ბულ. მუხლი:

- დ. – 4110 “გასანაღდებელი ობლიგაციები”
დ. – 3410 “გადასახდელი პროცენტები”
კ. – 1210 “ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში”

თამასუქი ფასიანი ქაღალდია, რომელიც წარმოადგენს მსესხებლის საგადასახადო ვალდებულებას თავისი კრედიტორისადმი, რათა ვალი დაფაროს დათქმულ დროსა და ვადაში სარგებლის გადახდით ხელშეკრულების პირობების თანახმად. ე.ი. თანხის მსესხებელი თამასუქს აძლევს თავის კრედიტორს ფულის სანაცვლოდ, იმის დასტურად, რომ თამასუქში აღნიშნული თანხა დაფარული იქნება თავის დროზე გადასახდელ %-თან ერთად. თამასუქი შეიძლება გაცემულ იქნას როგორც ფულის ასევე აქტივების შეძენისათვის.

თამასუქის გაცემისას ბუღალტრული გატარება იქნება:

- დ. – 2100 “ძირითადი საშუალებები”; ან
დ. – 2500 “არამარეტიკული აქტივები”; ან
დ. – 1600 “სასაქონლო-მატერიალური მარაგი”; ან
დ. – 1210 “ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში”
კ. – 4120 “გასანაღდებელი თამასუქი”

პროცენტის ღარიცხვის ბუღალტრული გატარება:

- დ. – 8210 “საპროცენტო ხარჯი”
კ. – 3410 “გადასახდელი პროცენტი”

სესხის დაფარვის ბუღალტრული გატარება:

- დ. – 4120 “გასანაღდებელი თამასუქი”
დ. – 3410 “გადასახდელი პროცენტი”
კ. – 1210 “ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში”

ფინანსური იჯარა – აქტივის შესაძენად აღებული გრძელვადიანი ვალდებულებაა. მოიჯარის ბალანსში (ვინც მიიღო ძირითადი საშუალებები) ფინანსური იჯარა აღიარებული უნდა იქნას აქტივის და შესაბამისად, ვალდებულების სახით. ფინანსური იჯარა თავისი შინაარსით გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებაა, რომლის დაფარვა ხდება ძირითადი თანხისა და პროცენტის თანდათანობითი გადახდით.

ფინანსური იჯარის საკითხი ჩვენს პროგრამაში ცალკე თემად განიხილება.

გრძელვადიანი სესხები, რომლის დაფარვა გათვალისწინებულია 1 წელზე მეტი ხნის ვადაში. ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მისი დაფარვის ვადა და პირობები, აგრეთვე სარგებელი რომელიც პროცენტულად არის გამოხატული.

გრძელვადიანი სესხის აღებაზე გატარდება ასეთი ბუღალტრული მუხლი:

დ. – 1210 “ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში”
კ. – 4140 “გრძელვადიანი სესხები”

%-ის დარიცხვის ბუღალტრული გატარება:

დ. – 8210 “საპროცენტო ხარჯები”
კ. – 3410 “გადასახდელი პროცენტები”

თუ გრძელვადიანი სესხის რაღაც ნაწილი უნდა დაიფაროს 1 წლის ვადაში, მაშინ ის გადატანილი უნდა იქნას ამ ნაწილით “გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილის” ანგარიშზე 3230-ზე:

ბუღალტრული გატარება:

დ. – 4140 “გრძელვადიანი სესხები”
კ. – 3230 “გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი”

სესხის ნაწილის გადახდა დარიცხულ პროცენტთან ერთად:

დ. – 3410 “გადასახდელი პროცენტები”
დ. – 3230 “გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი”
კ. – 1210 “ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში”

საილუსტრაციო მაგალითი:

20X2 წლის 1 მარტს საწარმოს მიერ იქნა აღებული გრძელვადიანი სესხი 20.000 ლარი, 20%-იანი განაკვეთით, რომლიდანაც უნდა დაიფაროს წლის ბოლოს 2.000 ლარი, ხოლო დარჩენილი მომავალ ორ წელიწადში.

1) სესხის აღების ბუღალტრული გატარება:

01.03.

დ. 1210 “ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში” – 20.000 ლარი
კ. 3230 “გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი” – 2.000 ლარი
კ. 4140 “გრძელვადიანი სესხები” – 18.000 ლარი

2) პროცენტის დარიცხვა:

31.03

წლიური პროცენტის გაანგარიშება:

$$20.000 \times 20\% = 4.000 \text{ ლარი}$$

თვის პროცენტის გაანგარიშება:

$$4.000 : 12 = 333 \text{ ლარი}$$

დ. 8210 "საპროცენტო ხარჯები" - 333 ლარი

კ. 3410 "გადასახდელი პროცენტები" - 333 ლარი

3) დარიცხული პროცენტის გადახდა:

დ. 3410 "გადასახდელი პროცენტები" - 333 ლარი

კ. 1210 "ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში" - 333 ლარი

4) წლის ბოლოს ძირითადი თანხის გადახდა:

დ. 3230 "გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი" - 2.000 ლარი

კ. 1210 "ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში" - 2.000 ლარი

5) წლის ბოლოს გრძელვადიანი ვალდებულებების, მოკლევადიან ვალდებულებაში გადმოტანა:

დ. 4140 "გრძელვადიანი სესხები" - 2.000 ლარი

კ. 3230 "გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი" - 2.000 ლარი

14 . 3 . 2 . გადავადებული გადასახადების და სხვა ბრძოლვადიანი ვალდებულებების აღრიცხვა

გადავადებული გადასახადები და სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები ანგარიშთა გეგმის მიხედვით აღრიცხულია 4200 "გადავადებული გადასახადების და სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები"-ს ქვეანგარიშებზე:

4200 "გადავადებული გადასახადები და სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები"

- └─ 4210 "გადავადებული მოგების გადასახადი"
- └─ 4220 "სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები"

გადავადებული მოგების გადასახადის გამოყენების აუცილებლობა განპირობებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი შეზღუდვების აღრიცხვაში გასათვალისწინებლად. უმთავრესად, იგი უკავშირდება ხარჯებისა და შემოსავლების აღიარებისადმი ბუღალტრის სტანდარტებისა და საგადასახადო კოდექსის განსხვავებულ მიდგომას. კერძოდ, აღრიცხვის სტანდარტების მოთხოვნებითა და საწარმოს მიერ არჩეული პოლიტიკით გამოთვლილი მოგება თუ განსხვავებული აღმოჩნდება საგადასახადო კანონმდებლობით განსხვავებული დასაბეგრი მოგებისაგან ამ დროს გამოთვლილი მოგების გადასახადის ხარჯი და გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულება შეიძლება არ აღმოჩნდეს ერთი და იგივე ციფრი, სადაც შეიძლება წარმოიქმნას "გადავადებული მოგების გადასახადი".

საილუსტრაციო მაგალითი:

მაგალითად: ფინანსური ანგარიშგებით მოგება დაბეგვრამდე არის 10.000 ლარი, აქედან მოგების გადასახადია $= 10.000 \times 15\% = 1.500$ ლარს. შავდასახადო კანონმდებლობით გამოთვლილი - დასაბეგრი მოგება = 8.000 ლარს. მოგების გადასახადი $= 8.000 \times 15\% = 1.200$ ლარს. მ.შ. სხვაობა $1.500 - 1.200 = 300$ ლარი გადავადებული მოგების გადასახადია, რომელზეც შედგება ასეთი ბუღალტრული მუხლი:

დ. 9210 “მოგების გადასახადი” – 1.500 ლარი

კ. 3310 “გადასახდელი მოგების გადასახადი” – 1.200 ლარი

კ. 4210 “გადავადებული მოგების გადასახადი” – 300 ლარი

ამასთან ერთად ცალკე ანგარიშზე გამოიყოფა “სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები”, სადაც აღრიცხული იქნებიან ის ვალდებულებები, რომლებიც ზემოთ არ იყო განხილული.

თუ განსხვავებული აღმოჩნდება საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული დასაბეგრი მოგებისაგან ამ დროს გამოთვლილი მოგების გადასახადის ხარჯი და გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულება შეიძლება არ აღმოჩნდეს ერთი და იგივე ციფრი, სადაც შეიძლება წარმოიქმნას “გადავადებული მოგების გადასახადი”.

მოგების გადასახადის საკითხი ჩვენს პროგრამაში უფრო ვრცლად ცალკე თემად განიხილება.

14 . 3 . 3 . ანარიცხების აღრიცხვა

ანარიცხები განკუთვნილია მომავალ პერიოდებში მოსალოდნელი ისეთი გასავლების აღსარიცხავად, რომელთა წარმოშობის საფუძვლები საანგარიშგებო პერიოდში არსებობდა. ანარიცხები კეთდება საწარმოს მუშაკთა საპენსიო უზრუნველყოფის, ძირ. საშუალებათა რემონტის და სხვა გრძელვადიანი მიზნებისათვის. ანარიცხები იქმნება დარიცხვის მეთოდისა და წინდახედულობის პრინციპის მოთხოვნათა გათვალისწინებით. ანარიცხების ანგარიშში შედის:

4300 “ანარიცხები”

- └─ 4310 “საპენსიო უზრუნველყოფის ანარიცხები”
- └─ 4320 “სხვა ანარიცხები”

ანარიცხები როგორც წესი ექვემდებარება წინასწარ შეფასებას. ანარიცხები კეთდება იმ მოსალოდნელი გასავლებისათვის, რომლებიც ბალანსის შედგენის თარიღისათვის ბუღ. ანგარიშგებაში არ არის ასახული, მაგრამ მომავალში სამეურნეო წლის საქმიანობიდან გამომდინარე არსებობს გარკვეული ოდენობის ვალდებულების წარმოშობის ალბათობა.

ანარიცხების შექმნის დროს ჩანაწერები კეთდება მათი ანგარიშების კრედიტში, ხარჯების ანგარიშების დებეტთან კორესპონდენციით.

დ. – 7400 “საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები”

კ. – 4310 “საქონლი უზრუნველყოფის ანარიცხები” ან

კ. – 4320 “სხვა ანარიცხები”

14 . 4 . ახსნა-განმარტებები

ვალდებულებების განმარტებაში გახსნილი უნდა იქნეს ინფორმაცია მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებების შესახებ.

მოკლევადიანი ვალდებულებები გაშიფრული უნდა იქნეს კატეგორიების მიხედვით, კერძოდ:

- სავაჭრო ვალდებულებები;
- დარიცხული ვალდებულებები შედგენილობის მიხედვით. ცალკე უნდა გამოიყოს თანამშრომლებზე დარიცხული ხელფასები;
- დაკავშირებულ მხარეთა კრედიტორული დავალიანება;
- გრძელვადიანი ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი;
- ნებისმიერი ვალდებულებების თანხა, რომელიც ამოღებული იქნება მოკლევადიანი ვალდებულებებიდან დამამტკიცებელი ინფორმაციის ჩვენებით და სხვა.

გრძელვადიანი ვალდებულებების შესახებ მოცემული ინფორმაცია უნდა ასახავდეს:

- გრძელვადიანი სესხების შედგენილობას, საპროცენტო განაკვეთებს, სესხების აღებისა და დაფარვის ვადებს, გადახდის რიგითობას;
- საობლიგაციო ვალდებულებებს;
- გასანაღდებელ თამასუქებს;
- გრძელვადიან საიჯარო ვალდებულებებს და სხვა.